# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №23/გ-23

ქ. მცხეთა

4 ნოემბერი 2014 წელი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის საფუძველზე, ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ შპს „ბ.ე.&კო" წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე აბულაძის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ტექსტური შტამპების შესყიდვა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის და გამგებლის წარმომადგენლებისთვის ტერიტორიულ ერთეულებში. (CPV30192153)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 10 ნოემბრამდე.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 220 (ორასოცი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს – მაჟორი

1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო ჩინაშვილი.

## 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"
შპს „ბ.ე.&კო"
ს/კოდი: 202452247
„ბი თი ეი ბანკი"

ბ/კ DISNGE22
ა/ა GE22BT0360000570400002
მის: ქ. თბილისი,წერეთლის გამზირი 112
ტელ:577 71 69 45
დირექტორი

ი. აბულაძე

„შემსყიდველი"
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
სს: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა NGE11LB0120118541380000
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე